



დავნერგოთ საქართველოს კომპანიებში ფინანსური მდგომარეობის შეფასების ქულობრივი მეთოდი

რეზიუმე

ბატარ ბარათაშვილი

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: barata49@mail.ru

სტატიაში – „დავნერგოთ საქართველოს კომპანიებში ფინანსური მდგომარეობის შეფასების ბალური მეთოდი“ ეხება მრავალრიცხოვან ფინანსური მაჩვენებლების ერთი კრიტერიუმით შეფასებას. ეს კრიტერიუმი ინტეგრალური იქნება და ავტორის აზრით, მისით უფრო შევძლებთ საბოლოო წარმოდგენა შევიქმნათ კომპანიის მდგომარეობაზე.

ასეთ კრიტერიუმად ავტორი ასახელებს ქულებს (ბალებს) ავტორს მიაჩნია, რომ ყველა ფინანსურ კოეფიციენტს ლიკვიდობის იქნება ის თუ რენტაბელობის, კაპიტალის სტრუქტურის თუ სხვა, ნორმატივთან შედარებისას მიენიჭოს ქულა 04-ის ფარგლებში. 4 უმაღლესი ქულაა და მყარ ფინანსურ მდგომარეობაზე მიგვითითებს, 0 კი – გაკოტრების მდგომარეობაში ყოფნას.

ქულების მეთოდით სტატიაში შეფასებულია ორი კომპანია – „თელიანი ველის“ და „სარაჯიშვილის“ ფინანსური მდგომარეობა. დაგროვილი ქულებით ისინი კრიზისის ზონაში იმყოფებიან.

საკვანძო სიტყვები:

ინტეგრალური
ბალი (ქულა)
„სარაჯიშვილი“
„თელიანი ველი“
რეიტინგი
ლიკვიდობა
რენტაბელობა
ნორმატივი
მონიტორინგი
ფინანსური

შესავალი

როგორც ცნობილია, საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის შეფასება ფინანსური კოეფიციენტებით და ამასთან, ბალანსის და მოგებაზარადის ანგარიშის პორიზონტალური და ვერტიკალური

ანალიზით ხდება. თითოეული მათგანი იძლევა გარკვეული დასკვნის გაკეთების საშუალებას, მაგრამ ძნელდება, ხშირად კი, შეუძლებელი ხდება, ერთი საერთო დასკვნის გამოტანა.

ეს პრობლემა საზღვარგარეთ ინტეგრირებული მაჩვენებლის შემუშავებით გადაწყვიტეს. ამისთვის ზოგ ქვეყანაში ქულებს (ბალებს) იყენებენ, ზოგან ინდექსებს და ზოგად კი – ნომრებს. საქართველოში ჯერჯერობით არცერთი მათგანი არ არის გამოყენებული.

მოცემულ სტატიაში ჩვენ კომპანია „სარაჯიშვილი“ და „თელიანი ველი“ ჩავატარეთ ასეთი სამუშაო ქულების მეთოდით. ქულების მისანიჭებლად ინფორმაციად გამოვიყენეთ 2011-2015 წლების ფინანსური კოეფიციენტების – სამეურნეო აქტივობის, ლიკვიდობის, კაპიტალის სტრუქტურის და საბაზრო აქტივობის – საშუალო სიდიდეები და მათზე არსებული ნორმატივები.

1. კომპანია „სარაჯიშვილის“ და „თელიანი ველის“ ფინანსური კოეფიციენტების ბალური შეფასება

საქართველოს საწარმოების რეიტინგული რანჟირებისთვის ყველაზე მისაღებად ბალური (ქულობრივი) სისტემა მიგვაჩნია.

ამ მიზნით საწარმოებს ყოფენ 5 ზონად (5 კლასად): უმაღლესი, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე. საწარმო რომ უმაღლესი კლასის რეიტინგში მოხვდეს, მან უნდა დააგროვოს 5768 ბალი, პირველ კლასში – 4756 ბალი, მეორეში – 3646 ბალი, მესამეში – 2538 ბალი, ხოლო მეოთხეში – 2024 ბალი. ეს ქულები უნდა მიეკუთვნოს მათი მუშაობის ბოლო წლის ფინანსურ მაჩვენებლებს. თუმცა, უკეთესი იქნება თუ ქულები მიეკუთვნება არა ერთ წელს, არამედ რამოდენიმე ბოლო წლის საშუალო ფინანსურ მაჩვენებელს. ასე მოვიქცით ამ ნაშრომში ჩვენც.



ვიანგარიშით რა კომპანია „სარაჯიშვილის“ და „თელიანი ველის“ 2013-2015 წლების საშუალო ფინანსური კოეფიციენტები შევადარეთ ისინი მათზე არსებულ ნორმატივებს და ასეთი წესით მივანიჭეთ მათ ქულები (0-დან 4 ქულამდე) (იხ. ცხრილები 1, 2, 3, 4, 5).

1-ელ ცხრილში წარმოვადგინეთ ზემოთდასახელებული კომპანიების საქმიანი აქტივების 2013-2015 წლების საშუალო სიდიდეები, მათი ნორმატივები და მოვახდინეთ მათი ურთიერთშედარება. ცხრილში წარმოდგენილია 5 კოეფიციენტი. ქულები მათ მივანიჭეთ მის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებაში არიან ისინი ნორმატივთან. მაგალითად, აქტივების ბრუნვაძობის ნორმატივი საზღვარგარეთ საშუალოდ არის 521 დღე. კომპანია „სარაჯიშვილში“ 2013-2015 წლებში საშუალოდ იგი 2051 დღე აღმოჩნდა (ანუ 4ჯერ მეტი ნორმატივზე), „თელიან ველში“ კი 531 დღე, ანუ თითქმის ნორმატივის ტოლი. ამიტომ ამ კოეფიციენტს „თელიან ველში“ მივეცით მაქსიმალური 4 ქულა, ხოლო კომპანია „სარაჯიშვილში“ მისი მეოთხედი ანუ 1 ქულა.

ასეთი მიდგომით შევაფასეთ საქმიანი აქტივობის სხვა კოეფიციენტებიც. შედეგად აღმოჩნდა, რომ კომპანია „თელიან ველს“ დაუგროვდა 16 ქულა, ხოლო კომპანია „სარაჯიშვილს“ 9 ქულა.

მე-2 ცხრილში წარმოვადგინეთ კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტები. მასში ნახესი კაპიტალის და საკუთარი კაპიტალის კოე-

ფიციენტებია შეფასებული. ორივეს ნორმატივი 5050 პროცენტი. ასეთ დროს კომპანია „სარაჯიშვილში“ 2013-2015 წლების საშუალო წლიური მაჩვენებელი ნახესი კაპიტალში 33%-ია, საკუთარში კი 67%. კარგია ეს თუ ცუდი? რა თქმა უნდა, რომ კარგია. ნახესი კაპიტალისთვის 50% არის ნორმატივის ზედა ზღვარი. საკუთარი კაპიტალისთვის კი 50% არის ქვედა ზღვარი, ანუ კომპანიას 50%-ზე მეტი სესხი არ უნდა ჰქონდეს და 50%-ზე ნაკლები საკუთარი სახსრები არ უნდა ჰქონდეს. ეს არის უცხოელი ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაცია.

საანალიზოდ აღებული ფირმებიდან სს „სარაჯიშვილში“ ეს მოთხოვნა დაცულია. მას სესხად აღებული აქვს მთლიანად საჭირო კაპიტალის მხოლოდ 33%, დანარჩენ 67%-ს კი ფარავს საკუთარი კაპიტალით. ორივე ამ მაჩვენებელს ჩვენ უმაღლესი რეიტინგული ოთხოთხი ქულა მივანიჭეთ. ეს მოთხოვნა მცირედით დარღვეულია კომპანია „თელიან ველში“. მას კაპიტალის 57% სესხით აქვს მოზიდული, 43% კი საკუთარი სახსრებით დაფარული. ამ მცირე დარღვევის გამო ამ კოეფიციენტებს სამ-სამი ქულა მივანიჭეთ. საბოლოო ჯამში დასახელებულმა კომპანიებმა კაპიტალის სტრუქტურის რეალური მდგომარეობით დააგროვეს შესაბამისად 8 და 6 ქულა (ცხრილი 2).

მე-3 ცხრილში კომპანია „სარაჯიშვილის“ და „თელიანი ველის“ ლიკვიდობის კოეფიციენტები შედარებული გვაქვს ნორმატივებთან. აღ-

ცხრილი 1

„სს სარაჯიშვილის“ და „თელიანი ველის“ საქმიანი აქტივობის მაჩვენებლების მიხედვით 2013-2015 წლების საშუალო ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით

№	საქმიანი აქტივობის მაჩვენებლები	კომპანია „სარაჯიშვილი“			კომპანია „თელიანი ველი“		
		საშუალოდ 2013-2015 წ.წ.	ნორმატივი [1, გვ. 335]	ქულა	საშუალოდ 2013-2015 წ.წ.	ნორმატივი [1, გვ. 335]	ქულა
1	აქტივების ბრუნვაძობა (დღე)	2051	521	1	531	521	4
2	გრძელავდიანი აქტივების ბრუნვაძობა (დღე)	759	810	2	212	-	2
3	საბრუნავი აქტივების ბრუნვაძობა (დღე)	1292	121	1	319	121	3
4	მარაგების ბრუნვაძობა (დღე)	3387	220	1	230	220	3
5	დებიტორული დავალიანების ბრუნვაძობა (დღე)	194	245	4	100	245	4
	სულ			9	-	-	16



ცხრილი 2

“სს სარაჯიშვილის” და “თელიანი ველის” საშვიანი აქტივობის მაჩვენებლებისთვის ქულების მიწოდება 2013-2015 წლების საშუალო ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით

№	საქმიანი აქტივობის მაჩვენებლები	კომპანია “სარაჯიშვილი”			კომპანია “თელიანი ველი”		
		საშუალოდ 2013-2015 წ.წ.	ნორმატივი [1, გვ. 337]	ქულა	საშუალოდ 2013-2015 წ.წ.	ნორმატივი [1, გვ. 337]	ქულა
1	ნასესხი კაპიტალის კოეფიციენტი	0,33	0,5	4	0,57	0,5	3
2	საკუთარი კაპიტალის კოეფიციენტი	0,67	0,5	4	0,43	0,5	3
	სულ			8			6

მოჩნდა, რომ კომპანია “სარაჯიშვილი” საერთო ლიკვიდობა ნორმაზე (2,0) მეტია. იგი შეადგენს 2,9-ს ანუ თითქმის 3-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიას 3-ჯერ მეტი საბრუნავი აქტივები აქვს მოკლევადიან ვალდებულებებთან შედარებით და საჭირო შემთხვევაში მთლიანად გადაფარავს მათ. სწორედ ამის გამო, ამ მაჩვენებელს უმაღლესი 4 ქულა მივანიჭეთ. ამ ფონზე მას მიძიმე მდგომარეობა ქონდა აბსოლუტურ და სწრაფ ლიკვიდობაში. კომპანიას იმდენად მიხერული რაოდენობის აღმოჩნდა ფული და ფასიანი ქაღალდები, რომლებითაც იანგარიშება ეს კოეფიციენტები, რომ მათი დაანგარიშება კი შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ სწრაფ ლიკვიდობას 0 ქულა მივანიჭეთ, აბსოლუტურს კი 1 ქულა. ამ პოზიციების სახით ასეთივე მდგომარეობა იყო “თელიანი ველშიც”. საბოლოო ჯამში ლიკვიდობის კოეფიციენტების ბალური შეფასებით “სარაჯიშვილმა” დააგროვა 5 ქულა, “თელიანმა ველმა” კი 3 ქულა.

რაც შეეხება რენტაბელობის მაჩვენებლებს

(იხ. ცხრილი 4), აქ ჩვენ შევფასეთ: აქტივების რენტაბელობა, საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE) და რეალიზაციის რენტაბელობა. აქტივების რენტაბელობის ნორმა მერყეობს 0,1დან 0,5მდე, ანუ 10%-დან 50%-მდე. კომპანია სარაჯიშვილში იგი აღმოჩნდა 4%, “თელიანი ველში” კი 1%. ამიტომ პირველს მივანიჭეთ 1 ქულა, მეორეს 0 ქულა. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის ნორმა მერყეობს 0,11,0-ის დიაპაზონში, ანუ 10%-დან 100%-მდე. ასეთ დროს “სარაჯიშვილში” იგი აღმოჩნდა 6 პროცენტი, “თელიანი ველში” კი – 3%, ორივე კომპანიაში მას თითო ქულა მივანიჭეთ. რეალიზაციის რენტაბელობა “სარაჯიშვილს” შეეფასეთ 2 ქულით, “თელიანი ველში” კი 0 ქულა. საბოლოო ჯამში რენტაბელობის მაჩვენებლებში “სარაჯიშვილმა” დააგროვა 4 ქულა, “თელიანი ველმა” კი 1 ქულა. ბოლოს შევფასეთ კომპანია “სარაჯიშვილის” და “თელიანი ველის” საბაზრო აქტივობის მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 5). კერძოდ, ქულები მივანიჭეთ ხუთ მაჩვენებელს: მოგება ერთ

ცხრილი 3

“სს სარაჯიშვილის” და “თელიანი ველის” ლიკვიდობის მაჩვენებლებისთვის ქულების მიწოდება 2013-2015 წლების

№	ლიკვიდობის მაჩვენებლები	კომპანია “სარაჯიშვილი”			კომპანია “თელიანი ველი”		
		საშუალოდ 2013-2015 წ.წ.	ნორმატივი [1, გვ. 336]	ქულა	საშუალოდ 2013-2015 წ.წ.	ნორმატივი [1, გვ. 336]	ქულა
1	საერთო ლიკვიდობა (კოეფიციენტი)	2,9	2,0	4	1,3	2,0	2
2	აბსოლუტური ლიკვიდობა (კოეფიციენტი)	0,005	0,3	1	0,04	0,3	1
3	სწრაფი ლიკვიდობა	-	0,2	0	-	0,2	0
	სულ ქულები			5			3



ცხრილი 4

“სს სარაჯიშვილის” და “თელიანი ველის” რენტაბელობის მაჩვენებლების სივრცითი მდგომარეობის მიმოხილვა 2013-2015 წლების

№	რენტაბელობის მაჩვენებლები	კომპანია “სარაჯიშვილი”			კომპანია “თელიანი ველი”		
		საშუალოდ 2013-2015 წ.წ.	ნორმატივი	რეიტინგული ქულა	საშუალოდ 2013-2015 წ.წ.	ნორმატივი	რეიტინგული ქულა
1	აქტივების რენტაბელობა (ROA) (კოეფიციენტი)	0.04	0.1-0.5	1	0.01	0.1-0.5	0
2	საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE) (კოეფიციენტი)	0.06	0.1-1.0	1	0.03	0.1-1.0	1
3	რეალიზაციის რენტაბელობა	0.23	0.1-1.5	2	0.01	0.1-1.5	0
	სულ ქულები			4			1

აქციაზე, დივიდენდი ერთ აქციაზე, აქტივები ერთ აქციაზე, აქციების დივიდენდური შემოსავალი და დივიდენდის დაფარვის კოეფიციენტი. რადგან ამ მაჩვენებლებზე ნორმატივები ვერ მოვიპოვეთ, ამიტომ შეფასება ჩვენი სუბიექტური თვალთახედვით მოვახდინეთ. შედეგად საბაზრო აქტივობის მაჩვენებლებში კომპანია “სარაჯიშვილს” დაუგროვდა 3 ქულა, ხოლო “თელიანი ველს” – 5 ქულა.

2. კომპანია „სარაჯიშვილის“ და „თელიანი ველის“ ბალური შეფასების საბოლოო შედეგები

მთლიანობაში “სარაჯიშვილის” ფინანსური მდგომარეობა შეფასდა 31 ქულით (იხ. ცხრილი

6). ამდენივე დაუგროვდა კომპანია “თელიანი ველსაც”. საბოლოო ჯამში მათ ბაზარზე ფინანსური მდგომარეობით ერთნაირი პოზიცია უკავიათ. ეს არის მესამე რეიტინგული პოზიცია. მას ამერიკელები კრიზისულ პოზიციას უწოდებენ. ეს პოზიცია მათთან ფასდება 2538 ბალით. ჩვენს მიერ გაანალიზებული კომპანიები თავიანთი ბალური შეფასებებით სწორედ ამ კატეგორიაში მოხვდნენ. სხვათაშორის უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა ჩვენ ნაშრომის წინა თავში ზემოაღნიშნული კომპანიების გაკოტრების ალბათობის Z – მაჩვენებელი ვიანგარიშეთ, მაშინაც აღვნიშნეთ, რომ კომპანია “სარაჯიშვილს” უკვე ემუქრება საფრთხე, “თელიანი ველში” კი ეს საფრთხე არსებობს, მხოლოდ ახლოს არ არის. რეიტინგული რანჟირე-

ცხრილი 5

“სს სარაჯიშვილის” და “თელიანი ველის” საბაზრო აქტივების მაჩვენებლების სივრცითი მდგომარეობის მიმოხილვა 2013-2015 წლების [1]

№	საბაზრო აქტივობის მაჩვენებლები	კომპანია “სარაჯიშვილი”			კომპანია “თელიანი ველი”		
		საშუალოდ 2013-2015 წ.წ.	ნორმატივი	რეიტინგული ქულა	საშუალოდ 2013-2015 წ.წ.	ნორმატივი	რეიტინგული ქულა
1	მოგება აქციაზე (ლარი)	14,9	-	3	3,4	-	1
2	დივიდენდი ერთ აქციაზე (ლარი)	0,38	-	1	0,5	-	1
3	აქტივები ერთ აქციაზე (ლარი)	369	-	1	295	-	1
4	აქციების დივიდენდური შემოსავალი	0,04	-	1	0,2	-	1
5	დივიდენდების დაფარვის კოეფიციენტი	34	-	3	6,8	-	1
	სულ ქულები			9			5



ცხრილი 6

რეიტინგული ქულების ჯამური სიდიდებით კომპანია “სს სარაჯიშვილის” და “თელიანი ველის” რეიტინგული კლასების მინიჭება

	ფინანსური კოეფიციენტები	სს “სარაჯიშვილი”	სს “თელიანი ველი”
1	საქმიანი აქტივობის	9	16
2	ლიკვიდობის	5	3
3	კაპიტალის სტრუქტურის	4	6
4	რენტაბელობის	4	1
5	საბაზრო აქტივობის	9	5
	სულ ქულები	31	31


ბით ჩატარებულმა შეფასებამ უფრო ნათლად დაგვანახა, რომ ეს საფრთხე ორივე კომპანიას დღესვე უდგას (იხ. ნახაზი 1).

დასკვნა

მოცემულ სტატიაში ჩვენ ჩავატარეთ ორი კომპანიის – სს „სარაჯიშვილის“ და სს „თე-

ლიანი ველის“ ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი რეიტინგული რანჟირების მეთოდის გამოყენებით.

ამისთვის გამოვიყენეთ ბალური (ქულობრივი) მეთოდი და ყველა იმ ფინანსურ მაჩვენებელს, რომელიც გვქონდა გამოანგარიშებული, მივა ნიჭეთ ქულები. ქულების მინიჭება მოვახდინეთ მათი შედარებით ნორმატივებთან. აღმოჩნდა,



ნახაზი 1. კომპანია “სარაჯიშვილის” და “თელიანი ველის” ფინანსური კოეფიციენტების ბალური შეფასებები



რომ რიგმა მაჩვენებელმა მიიღო უმაღლესი 4 ქულა, რიგმა კი 0, ანდა 1 ქულა.

საბოლოო ჯამში ორივე კომპანიას დაუგროვდა 3131 ქულა და ამ ქულებით მოხვდნენ მესამე რეიტინგულ ზონაში. ეს არის კრიზისში მყოფი ფირმების ზონა.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ღუდუშაური ზ., ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2015.

რომ არა ბალური შეფასებები, ფაქტურად შეუძლებელი იქნებოდა ფინანსური მონიტორინგის შემდეგ მათი საბოლოო მდგომარეობაზე ერთი, განზოგადოებული და ამასთან სწორი დასკვნის გაკეთება.

REFERENCES:

1. Gudushauri Z. Financial Management, Tbilisi, 2015

INTRODUCTION OF GRADE (MARK) METHOD OF FINANCIAL STABILITY RATING OF THE COMPANIES IN GEORGIA

BAKAR BARATASHVILI

Doctoral Candidate of GTUE-mail: barata49@mail.ru

Summary

The article “Introduction of Grade (Mark) Method of Financial Stability Rating of the Companies in Georgia” concerns the rating of multiple financial indicators with one ratio. The ratio will be integral and according to the author we will be able to have final overview of the sustainability of the company.

The author believes that grade (mark) is such ratio. According to the author all financial ratios is it liquidity, profitability, capital structure or other ratios should be rated within the 04 grades in comparison with the standards, 4 is the highest grade and indicates stable financial condition, while 0 is bankruptcy state.

Financial condition of two companies – Teliani Veli and Sarajishvili are rated in the article with the grade method. According to the collected marks the companies are in crises.